საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

#18 თბილისი, 2 ოქტომბერი 2002 წელი

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი
ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკური ბარათების ფორმა #1-ო, ფორმა #2-ო და ფორმა #2-ოა-ს შევსების ინსტრუქცია დანართი #1 –ის მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს ინსტრუქციით სასამართლოების უზრუნველყოფა;

3. სასამართლოების თავმჯდომარეებმა ინსტრუქციის ზუსტი დაცვით განახორციელონ სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკური ბარათების ფორმა #1-ო, ფორმა #2-ო და ფორმა #2-ოა-ს შევსება და უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილებაში დადგენილ ვადებში წარდგენა;

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმდჯომარის მოადგილემ ო. გოგოძემ.

ლადო ჭანტურია

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

ადმინისტრაციული კომიტეტის წევრები

1. ბადრი მეტრეველი
2. ვახტანგ თორდია
3. ვაჟა ხახუტაიშვილი
4. დავით სულაქველიძე
5. მამუკა მამალაძე
6. დავით დოიჯაშვილი
7. მანანა ნიკაჭაძე
8. ზურაბ რუხაძე

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სისხლის სამართლის საქმეთა აღრიცხვის
სტატისტიკური ბარათების ფორმა #1-ო,
ფორმა #2-ო და ფორმა #2-ოა-ს შევსების შესახებ

1. სტატისტიკური ბარათი პირველი ინსტანციის სასამართლოში შემოსულ სისხლის სამართლის საქმეზე _ ფორმა #1-ო
11. ფორმა #1-ო „სტატისტიკური ბარათი სასამართლოში შემოსულ სისხლის სამართლის საქმეზე“. ბარათი დგება ორ ეგზემპლარად, სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე. ერთი ეგზემპლარი იგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილებაში, ხოლო მეორე ინახება კანცელარიაში და გამოიყენება კვარტალური სტატისტიკური ანგარიშების შედგენის დროს.

1.2. ფორმა #1-ო ივსება მოსამართლის (ან მოსამართლის თანაშემწის მიერ და მოწმდება მოსამართლის მიერ) მიერ საქმის მიღებისთანავე და ბარდება კანცელარიას საქმის მიღებიდან მეორე დღეს.

1.3. კანცელარია ამოწმებს ბარათებს და თვეში სამჯერ, ყოველი დეკადის ბოლოს (ყოველ 190 დღეში) აგზავნის უზენაეს სასამართლოში თანდართული წერილით, რომელშიც უნდა მიეთითოს საქმის ნომერი, ბრალდებულის სახელი და გვარი. არასწორად შევსებული ბარათები უზენაეს სასამართლოში არ იგზავნება და მოსამართლეს გასასწორებლად უბრუნდება.

1.4. თუ საქმეში არის ერთზე მეტი ბრალდებული, თითოეული პირისათვის ივსება ცალკე ბარათი. ამასთან, პირველი პირის ბარათზე ივსება საქმესთან დაკავშირებული ყველა რეკვიზიტი, ხოლო დანარჩენი პირებისათვის მიეთითება საქმის ნომერი, გამოძიების ნომერი და მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც უშუალოდ მოცემულ პირს ეხება. თუ საქმე მრავალპირიანია (მაგალითად 3 პირიანი), პირველ ბარათზე გრაფაში „პირთა რიცხვი საქმეში“ აუცილებელია, მიეთითოს 3/1 (რაც ნიშნავს სამპირიან საქმეში პირველი პირი), მეორე ბარათი 3/2 (სამპირიან საქმეში მეორე პირი), მესამე ბარათზე – 3/3 (სამპირიან საქმეში მესამე პირი).

1.5. შეჩერებულ საქმეებზე ყოველი დეკადის ბოლოს უზენაეს სასამართლოში იგზავნება ცნობა საქმეების შეჩერებისა და განახლების შესახებ, რომელშიც უნდა მიეთითოს საქმის ნომერი, განსასჯელის (ბრალდებულის) გვარი, სახელი, მამის სახელი, შეჩერების თარიღი, მიზეზი, განახლების თარიღი.

1.6. აუცილებელია ბარათში მოცემული ყველა რეკვიზიტის გარკვევით შევსება, მასში ყოველგვარი ჩასწორების გარეშე ბარათში დასმულ ზოგიერთ კითხვაზე პასუხები იწერება შესაბამის კვადრატებში; კვადრატებში აუცილებლად იწერება რიცხვითი აღნიშვნები ნულის ჩათვლით. ნული იწერება მაშინ, თუ მაჩვენებლის ჩამოთვლილი ნიშნები არ არსებობს, ბარათში ყველა თარიღი სრულყოფილად უნდა შეივსოს.

1.7. დანაშაულის ფაბულაში არ არის საჭირო კოდექსში მოცემული ჰიპოთეზისა და დისპოზიციის, მუხლის დასახელების, დანაშაულის ჩადენის ადგილისა და თარიღის, ბრალდებულების გვარებისა და სახელების ჩაწერა, ეს ინფორმაცია ისედაც ჩანს ბარათის სხვა შესაბამისი რეკვიზიტებიდან. ფაბულა უნდა იყოს მოკლე და პასუხობდეს კონკრეტული დანაშაულის ფაქტს, ანუ ვის რა ქმედებით, რა იარაღით, რა ზიანი ან ზარალი მიადგა. ეკონომიკურ დანაშაულზე, დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაბულაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ნივთის დასახელება, ღირებულება, მიყენებული ზარალის ოდენობა, დატაცებული თანხის ოდენობა, დაფარული თანხის ოდენობა და ა.შ.

1.8. საქმის აღძვრისა და გამოძიების შესახებ მონაცემების შევსებისას _ ბარათის მე-3 და მე-4 პუნქტები უნდა მიეთითოს, თუ როდისაა აღძრული საქმე, რამდენი პირის მიმართ, კონკრეტულად რომელმა ორგანომ აღძრა საქმე, რომელმა გამოიძია. ამასთან ერთად, მოცემული მაჩვენებლის რიცხვითი აღნიშვნა უნდა ჩაიწეროს შესაბამის კვადრატებში.

1.9. დანაშაულის ჩადენის ადგილის შევსების დროს _ ბარათის მე-5 პუნქტი იწერება კონკრეტული დასახელებული პუნქტი, სადაც მოხდა დანაშაული; ხოლო კვადრატში ჩაიწერება შესაბამისი რიცხვითი აღნიშვნა. თუ დანაშაული ჩადენილია რამდენიმე დასახელებულ პუნქტში, ბარათში უნდა აღინიშნოს ის, სადაც მოხდა უფრო მძიმე დანაშაული.

1.10. სსკ-ის მუხლების აღნიშვნის დროს აუცილებელია, ყველგან მიეთითოს კოდექსის რედაქცია (ძველი ან ახალი რედაქცია).

1.11. სსკ-ის მუხლის განსაზღვრისას, რომლითაც აღირიცხება საქმე (ბარათის მე-9 პუნქტი) უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესებით: _ დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში საქმე აღირიცხება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით და ნაწილით, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს;
_ თუ სანქციით გათვალისწინებული სასჯელები თანაბარზომიერია, მაშინ საქმე აღირიცხება უფრო გავრცელებული დანაშაულის მიხედვით, მაგრამ თუ დანაშაული განეკუთვნება „მძიმე“ დანაშაულის კატეგორიას, მაშინ აღირიცხება ამ დანაშაულის მიხედვით.
ანალოგიური წესი ვრცელდება ბარათის მე-16 და მე-17 პუნქტების შევსების დროსაც: პირველ რიგში აუცილებლად იწერება უფრო მძიმე მუხლი და ნაწილი, ხოლო შემდგომ – დანარჩენი მუხლები.

1.12. თუ ბრალდებულს ბრალი დაედო სსკ-ის 214-ე მუხლით, მაშინ აუცილებელია ბარათის მე-18 პუნქტის შევსება; ხოლო დანაშაულის სსკ-ის 262-ე მუხლით კვალიფიკაციის შემთხვევაში აუცილებელია ბარათის მე-19 და მე-20 პუნქტების შევსება. ამავე დროს უნდა მიეთითოს ნარკოტიკის დასახელება და რაოდენობა ზომის ერთეულის აღნიშვნით. მაგალითად: ოპიუმი 40 გრამი; თუ საქმე აღძრულია ეკონომიკური დანაშაულის კვალიფიკაციით, მაშინ აუცილებელია ბარათის 21-ე, 22-ე, 23-ე და 24-ე პუნქტების შევსება.

1.13. ასაკის, მოქალაქეობის, განათლების, საქმიანობის, თანამდებობის შესახებ მონაცემები ბარათში შეიტანება დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის.

1.14. ბრალდებულის ასაკი იანგარიშება წლების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის დროისათვის. არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი. თუ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული, რომელთაგან ერთი ჩადენილია არასრუწლოვანების ასაკში და სხვები კი სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ, იგი არასრულწლოვნად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანების დროს ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე შემდგომ ჩადენილი დანაშაული.

1.15. ბარათის მე-13 პუნქტის (თანამდებობა, საქმიანობა) შევსების დროს იწერება ის საქმიანობა, რომელსაც ბრალდებული ეწეოდა დანაშაულის ჩადენის დროისათვის (შპს „აისის“ დირექტორი, მცხეთის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი, პენსიონერი, თსუ სტუდენტი და ა.შ.). განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოხელეო დანაშაულის ჩამდენი პირის თანამდებობის შევსებას. მაგ., შეუძლებელია, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით ბრალდებულს ჩაეწეროს _ უმუშევარი. კვადრატში უნდა ჩაიწეროს მოცემული თანამდებობისა და საქმიანობის შესაბამისი რიცხვითი აღნიშვნა.

1.16. ბარათის მე-15 პუნქტში მიეთითება ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ის აღკვეთის ღონისძიება, რომლითაც საქმე შემოვიდა სასამართლოში.

1.17. აუცილებელია ბარათის 25-ე პუნქტის შევსება იმის მიხედვით დანაშაული კორუფციულია თუ არა (ამ კვადრატში 0 არ იწერება).

1.18. კანცელარიის მუშაკი (რომელთანაც ინახება სტატისტიკური ბარათების მეორე ეგზემპლარები) ფორმა #1-ო-ს მონაცემებს იყენებს სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა #X-01-ის შესავებად (კერძოდ კი გრაფების დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის, შემოვიდა საქმე სანგარიშო პერიოდში და დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შესავსებად). სტატისტიკრული ანგარიშგების ფორმა #X-01-ის აღნიშნული მაჩვენებლები უნდა

ედრებოდეს საანგარიშო პერიოდში უზენაესი სასამართლოს ინფორმატიკის განყოფილებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ბარათების (ფორმა #1-ო) საერთო რაოდენობას.

2. სტატისტიკური ბარათი პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგებზე _

ფორმა #2-ო

2.1. ფორმა #2-ო „სტატისტიკური ბარათი პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგებზე“ ივსება როგორც განმწესრიგებელ, ისე სამსჯავრო სხდომებზე დამთავრებულ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. ბარათი დგება ორ ეგზემპლარად, განმწესრიგებელი და სასამართლო სხდომის ოქმისა და განაჩენის (განჩინების) საფუძველზე. ერთი ეგზემპლარი იგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილებაში, ხოლო მეორე იანხება კანცელარიაში და გამოიყენება კვარტალური სტატისტიკური ანგარიშების შედგენის დროს. უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილებაში იგზავნება სტატისტიკური ბარათი ყველა დამთავრებულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, განაჩენი (განჩინება) შესულია კანონიერ ძალაში, თუ არა.

2.2. ფორმა #2 –ო ივსება მოსამართლის (ან მოსამართლის თანაშემწის მიერ და მოწმდება მოსამართლის მიერ) მიერ საქმის განხილვის დამთავრებიდან მეორე დღეს.

2. 3. კანცელარია ამოწმებს ბარათებს და თვეში სამჯერ, ყოველი დეკადის ბოლოს (ყოველ 10 დღეში) აგზავნის უზენაეს სასამართლოში თანდართული წერილით, რომელშიც უნდა მიეთითოს საქმის ნომერი, მსჯავრდებულის (ბრალდებულის) სახელი და გვარი. არასწორად შევსებული ბარათები უზენაეს სასამართლოში არ იგზავნება და მოსამართლეს გასასწორებლად უბრუნდება.

2. 4. ფორმა #2-ო ივსება თითოეული პირისათვის ცალ-ცალკე. ბარათები ივსება ყველა იმ პირზე, რომელთა მიმართაც საქმე დამთავრდა განაჩენით, შეწყდა წარმოებით, დაბრუნებულია დამატებით გამოძიებაში, შეეფარდა იძულებითი მკურნალობა, გადაცემულია ქვემდებარეობით ან აცილების წესით გაგზავნილაი სხვა სასამართლოში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ პირს შეეფარდა იძულებითი მკურნალობა, ან – საქმე გადაცემულია ქვემდებარეობით, ან აცილების წესით გაგზავნილია სხვა სასამართლოში, ივსება ბარათის მხოლოდ 1-10 პუნქტები.

2. 5. თუ განაჩენი (განჩინება) გასაჩივრებულია სააპელაციო ინსტანციაში, უზენაეს სასამართლოში ცალკე უნდა გამოიგზავნოს სია, სადაც მითითებული იქნება საქმის ნომერი, იმ მსჯავრდებულის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელთა მიმართ განაჩენი (განჩინება) გასაჩივრდა და ვინ გაასაჩივრა: პროკურორმა, მსჯავრდებულმა თუ დაზარალებულმა.

2.6. ბარათის ზოგადი მონაცემების შევსება ხდება #1-ო-ს ფორმა ანალოგიურად (იხილეთ ფორმა #1-ო-ს შევსების წესები).

2.7. ბარათის მე-9 პუნქტის შევსების დროს იწერება ის მუხლი და ნაწილი, რომლითაც დადგენილია განაჩენი (ყველაზე მძიმე ან ყველაზე გავრცელებული მუხლი და ნაწილი). ამასთან, მე-9 პუნქტში აღნიშნული სსკ-ის მუხლი უნდა ემთხვეოდეს მე-14 პუნქტის პირველ პოზიციაზე ჩაწერილ მუხლს და ნაწილს (ანუ იმ მუხლს და ნაწილს, რომლითაც მსჯავრი დაედო პირს).

2.8. ბარათის მე-11 პუნქტის შევსებისას მიეთითება სასამართოლ პროცესის რდოს ბრალდებულის მიმართ გამოყენებუილი აღკვეთის ღონისძიება.

2.9. ბარათს მე-12, მე-13, მე-14 პუნქტების შევსების დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი წესი: პირველ რიგში უნდა დაიწეროს ის მუხლი და ნაწილი, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ხოლო შემდგომ – დანარჩენი მუხლები.

2.10. განაჩენის შესახებ მონაცემების შევსების დროს აუცილებელია გავითვალსწინოთ:
- განსასჯელი გამართლებულად ითვლება, თუ იგი მთლიანად არის გამართლებული;
- თუ მსჯავრდებულს მოუხდელი ჰქონდა სხვა დანაშაულისათვის ადრე დანიშნული სასჯელი და

სასამართლომ განაჩენის გამოტანისას ახალ სასჯელს დაუმატა მოუხდელი სასჯელი, მაშინ ბარათში აღირიცხება არა შეკრებილი სასჯელი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც მსჯავრდებულს დაენიშნა ბოლო დანაშაულისათვის;
- თუ მსჯავრდებულს მისჯილი აქვს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაშინ სასჯელის მაჩვენებლის აღმნიშვნელ კვადრატში იწერება „32“, ხოლო თუ მისჯილი აქვს 1 წლიდან 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაშინ იწერება შესაბამისი რიცხვი (ვთქვათ მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, კვადრატში იწერება „6“).
- თუ მსჯავრდებულს მისჯილი აქვს 7 წელსა და 6 თვეზე ნაკლები, კვადრატში იწერება ნაკლებობით დამრგვალებული რიცხვი, ე.ი. „7“ წელი, თუ მისჯილი აქვს 7 წელი და 6 თვე (ან 6 თვეზე მეტი), მაშინ იწერება მეტობით დამრგვალებული რიცხვი ე.ი. „8“.
- უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში იწერება „31“ და ა.შ. ბარათში მითითებული რიცხვების შესაბამისად;
- თუ მსჯავრდებულის მიმართ გ ამოყენებულია დამატებითი სასჯელის ორი სახეობა, მაშინ მაჩვენებელში „დამატებითი სასჯელი“ უნდა შეივსოს ორივე კადრატი. მაგალითად, თუ მსჯვრდებულს დანიშნული აქვს ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მაშინ მარცხენა კვადრატში იწერება „1“, მარჯვენაში კი „2“. ერთი დამატებითი სასჯელის გამოყენების შემთხვევაში სასჯელის შესაბამისი რიცხვით ივსება ერთი კვადრატი, მეორეში კი იწერება ნული.

2. 11. ბარათის მე-16 პუნქტის შევსებასთან ერთად, აუცილებელია მე-18 პუნქტის კვადრატის შევსებაც. ამასთან, მე-16 პუნქტში სიტყვიერად ჩაწერილი სასჯელის ზომა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მე-18 პუნქტის კვადრატში ჩაწერილ რიცხვით აღნიშვნას.

2.12. ბარათის მე-17, მე-18, მე-19, მე-20 პუნქტების შევსების დროს აუცილებელია შეივსოს აღნიშნული პუნქეტბის ორივე მხარეს მდებარე კვადრატები: მარცხენა კვადრატებში ჩიაწერება მონაცემები, რომლებიც ეხება პროკურორის მოთხოვნას, ხოლო მარჯვენა მხარეს მდებარე კვადრატებში განაჩენით მოცემული მონაცემები.

2.13. ეკონომიკური დანაშაულის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბარათის 21-ე, 22-ე, 23-ე და 24-ე პუნქტების შევსებას. ამასთან, თანხები აუცილებლად მოყვანილი უნდა იყოს ლარებში.

2.14. თუ ფორმა #1-ო-ს მე-11 პუნქტში ჩანს, რომ ბრალდებული პირი არის არასრულწლოვანი, ე.ი. დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, მაშინ აღნიშნულ პირზე ფორმა #1 2-ო-ს შევსების დროს აუცილებელია 26-ე და 27-ე პუნქტების შევსება.

2.15. თუ მსჯავრდებულს აქვს რამდენიმე მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობა, ბარათის 33-ე პუნქტში ჩაიწერება ის, რომელი დანაშაულისათვისაც გათვალისწინებულია უფრო მძიმე სასჯელი;

2.16. ბარათის 34-ე პუნქტის შევსების დროს გაითვალისწინება ცნობა ბოლოს მოხდილი სასჯელის შესახებ.

2.17. კანცელარიის მუშაკი (რომელთანაც ინახება სტატისტიკური ბარათების მეორე ეგზემპლარები. ფორმა #2 2-ო-ს მონაცემების საფუძველზე ადგენს სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებს; #X-01, # X-04, #X-05, #X-06. სტატისტიკური ანგარიშგების აღნიშნული ფორმების შესაბამისი მაჩვენებლები აუცილებლად უნდა ედრებოდეს უზენაესი სასამართლოს ინფორმატიკის განყოფილებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ბარათების (ფორმა #2-ო) საერთო რაოდენობას.

3.სტატისტიკური ბარათი
სააპელაციო ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგებზე _ ფორმა #2-ოა

3.1. ფორმა #2-ოა „სტატისტიკური ბარათი სააპელაციო ინსტანციაში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგებზე“ ივსება სააპელაციო წესით განხილულ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. ბარათი დგება ორ ეგზემპლარად, სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის (განჩინების) საფუძველზე. ერთი ეგზემპალრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილებაში, ხოლო

მეორე ინახება კანცელარიაში და გამოიყენება კვარტალური სტატისტიკური ანგარიშების შედგენის დროს. უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმატიკის განყოფილებაში იგზავნება სტატისტიკური ბარათი ყველა დამთავრებულ საქმეზე, მიუხედავად იმისა, განაჩენი (განჩინება) შესულია კანონიერ ძალაში, თუ არა.

3.2. ფორმა #2-ოა ივსება მოსამართლის (ან მოსამართლის თანაშემწის მიერ და მოწმდება მოსამართლის მიერ) მიერ საქმის განხილვის დამთავრებისთანავე და ბარლდება კანცელარიას საქმის განხილვის დამთავრებიდან მეორე დღეს.

3.3. კანცელარია ამოწმებს ბარათებს და თვეში სამჯერ, ყოველი დეკადის ბოლოს (ყოველ 10 დღეში) აგზავნის უზენაეს სასამართლოში თანდართული წერილით, რომელშიც უნდა მიეთითოს საქმის ნომერი, მსჯავრდებულის (ბრალდებულის) სახელი და გვარი. არასწორად შევსებული ბარათები უზენაეს სასამართლოში არ იგზავნება და მოსამართლეს გასასწორებლად უბრუნდება.

3.4. თუ განაჩენი (განჩინება) გასაჩივრებულია საკასაციო ინსტანციაში, უზენაეს სასამართლოში ცალკე უნდა გამოიგზავნოს სია, სადაც მითითებული იქნება საქმის ნომერი, იმ მსჯავრდებულის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელთა მიმართ განაჩენი (განჩინება) გასაჩივრდა და ვინ გაასაჩივრა: პროკურორმა, მსჯავრდებულმა თუ დაზარალებულმა.

3.5. ბარათის ზოგადი მონაცემების შევსება ხდება ფორმა #1-ო-ს ანალოგიურად (იხილეთ ფორმა #1-ო-ს შევსების წესები). აუცილებელია ბარათში არსებული ყველა რეკვიზიტის გარკვევით შევსება, მასში ყოველგვარი ჩასწორების გარეშე.

3.6. ფორმა #2-ოა ივსება იმ პირებზე, რომელთა მიმართ განაჩენი (განჩინება, დადგენილება) გასაჩივრებულია და იმ პირებზეც, რომელთაც საჩივარი არ შეუტანიათ, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ სარევიზიო წესით შეიტანა ცვლილება მათ მიმართ პირველი ინსტანციის განაჩენში (განჩინებაში, დადგენილებაში). გრაფის „პირთა რიცხვი საქმეში“ მრიცხველში უნდა ჩაიწეროს ამ პირთა საერთო რაოდენობა, მნიშვნელში კი – პირის რიგითი ნომერი საქმეში.

3.7. სსკ-ის მუხლების აღნიშვნის დროს აუცილებელია, ყველგან მიეთითოს კოდექსის რედაქცია (ძველი ან ახალი რედაქცია).

3.8. სსკ-ის მუხლის განსაზღვრისას (ბარათის მე-12 პუნქტი), რომლითაც გამოვიდა განაჩენი, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესებით:

_ დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში მიეთითება სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს;
_ თუ სანქციით გათვალსიწინებული სასჯელები თანაბარზომიერია, მაშინ სსკ-ის მუხლი და ნაწილი მიეთითება უფრო გავრცელებული დანაშაულის მიხედვით, ხოლო თუ დანაშაული განეკუთვნება „მძიმე“ დანაშაულის კატეგორიას, მაშინ აღირიცხება ამ დანაშაულის მიხედვით.
_ ანალოგიური წესი ვრცელდება ბარათის მე-20 და 21-ე პუნქტების შევსების დროსაც: პირველ რიგში იწერება უფრო მძიმე მუხლი და ნაწილი, ხოლო შემდგომ დანარჩენი მუხლები და ნაწილები.

3.9. ბარათის მე-12 პუნქტში მიეთითება ის მუხლი და ნაწილი, რომლითაც მოცემულ მსჯავრდებულზე განაჩენი გამოიტანა სააპელაციო სასამართლომ. ამასთან, მე-12 პუნქტში აღნიშნული სსკ-ის მუხლი უნდა ემთხვეოდეს 21-ე პუნქტის პირველ პოზიციაზე ჩაწერილ მუხლს და ნაწილს (ანუ იმ მუხლს და ნაწილს, რომლითაც მსჯავრი დაედო პირს).

3.10. თუ მსჯავრდებულს აქვს რამდენიმე მოუხსნელი ან გაუქარწყლებელი ნასამართლობა, ბარათის მე-17 პუნქტში ჩაიწერება ის, რომელი დანაშაულისთვისაც გათვალისწინებულია უფრო მძიმე სასჯელი;

3.11. ბარათის მე-18 პუნქტის შევსების დროს გაითვალისწინება ცნობა ბოლოს მოხდილი სასჯელის შესახებ.

3.12. ბარათის მე-19 პუნქტის შევსების დროს ჩაიწერება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი აღკვეთის ღონისძიება.

3.13. ბარათის 22-ე და 23-ე პუნქტების შევსებასთან ერთად აუცილებელია 26-ე პუნქტის კვადრატის შევსებაც. ამასთან, 23-ე პუნქტში სიტყვიერად ჩაწერილი სასჯელის ზომა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს 25-ე პუნქტში ჩაწერილ რიცხვით აღნიშვნას.

3.14. ბარათის 24-ე, 25-ე, 26-ე და 27-ე პუნქტების შევსების დროს აუცილებლად უნდა შეივსოს აღნიშნული პუნქტების ორივე მხარეს მდებარე კვადრატები: მარცხენა კვადრატში იწერება მონაცემები, რომლებიც ეხება პროკურორის მოთხოვნას, ხოლო მარჯვენა მხარეს მდებარე კვადრატებში _ განაჩენით მოცემული მონაცემები.

3.15. განაჩენის შესახებ მონაცემების შევსების დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ:
_ განსასჯელი გამართლებულად ითვლება, თუ იგი მთლიანად არის გამართლებული;
_ თუ მსჯავრდებულს მოუხდელი ჰქონდა სხვა დანაშაულისათვის ადრე დანიშნული სასჯელი და სასამართლომ განაჩენის გამოტანისას ახალ სასჯელს დაუმატა მოუხდელი სასჯელი, მაშინ ბარათში აღირიცხება არა შეკრებილი სასჯელი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც მსჯარვდებულს დაენიშნა ბოლო დანაშაულისათვის;
_ თუ მსჯავრდებულს მისჯილი აქვს 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაშინ სასჯელის მაჩვენებლის აღმნიშვნელ კვადრატში იწერება “32“, ხოლო თუ მისჯილი აქვს 1 წლიდან 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაშინ იწერება შესაბამისი რიცხვი (ვთქვათ მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, კვადრატში იწერება „6“);
_ თუ მსჯავრდებულს მისჯილი აქვს 7 წელსა და 6 თვეზე ნაკლები, კვადრატში იწერება ნაკლებობით დამრგვალებული რიცხვი, „ე.ი. „7“ წელი, თუ მისჯილი აქვს 7 წელი და 6 თვე (ან 6 თვეზე მეტი), მაშინ იწერება მეტობით დამრგვალებული რიცხვი, ე.ი. „8“.
_უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში იწერება „31“ და ა.შ. ბარათში მითითებული რიცხვების შესაბამისად;
_თუ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია დამატებითი სასჯელის ორი სახეობა, მაშინ მაჩვენებელში „დამატებითი სასჯელი“ უნდა შეივსოს ორივე კვადრატი, მაგალითად, თუ მსჯავრდებულს დანიშნული აქვს ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მაშინ მარცხენა კვადრატში იწყერება „1“, მარჯვენაში კი – „2“ ერთი დამატებითი სასჯელის გამოყენების შემთხვევაში სასჯელის შესაბამისი რიცხვით ივსება ერთი კვადრატი, მეორეში კი იწერება ნული.

3.16. ეკონომიკური დანაშაულის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბარათის 28-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე და 32-ე პუნქტების შევსებას. ამასთან, თანხები აუცილებლად მოყვანილი უნდა იყოს ლარებში.

3.17. განაჩენის (განჩინების) გასაჩივრების შემთხვევაში შესაბამისი მონაცემები ჩაიწერება ბარათის 32-ე პუნქტში.

3.18. კანცელარიის მუშაკი (რომელთანაც ინახება სტატისტიკური ბარათების მეორე ეგზემპლარები), ფორმა #2-ოა-ს მონაცემებს იყენებს სტატქისტიკური ანგარიშების ფორმების #X-12-ის და #X13-ის შედგენისას. სტატისტიკური ანგარიშგების აღნიშნულ ფორმებში შესაბამისი მონაცემები აუცილებლად უნდა ედრებოდეს უზენაესი სასამართლოს ინფორმატიკის განყოფილებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ბარათების (ფორმა #2-ოა) საერთო რაოდენობას.